ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №59

2010 წლის 24 ნოემბერი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 სექტემბრის №31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის 20 ოქტომბრის №01–40/940 წერილში მოცემული სამართლებრივი შენიშვნის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს (სსმ III, 2010წ., №37, მუხ. 1074) „ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 სექტემბრის №31 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე